

შპს „ენ ეი გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. ფინანსური ხარჯი	10
9. ძირითადი საშუალებები	11
10. საინვესტიციო ქონება	12
11. გუდვილი	12
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
16. მიღებული სესხები.....	13
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
18. საგადასახადო ვალდებულებები	14

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	2,149,054	2,781,896
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,487,354)	(1,805,436)
საერთო მოგება		661,700	976,460
სხვა საოპერაციო შემოსავალი		425	11,132
კომერციული ხარჯები		(17,174)	(7,282)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(659,594)	(436,303)
საოპერაციო მოგება		540,192	1,502,907
ფინანსური შემოსავალი		11,158	11,181
ფინანსური ხარჯი	8	(223,090)	(209,311)
საკურსო მოგება/(ზარალი)		6,911	(35,477)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(219,664)	310,400
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(219,664)	310,400
წლის სრული მოგება მისაკუთვნიებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(139,757)	178,281
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(79,907)	132,119
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(219,664)	310,400

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 3 სექტემბერს

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს "ენ ეი გრუპი"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	2,149,054	2,781,896
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,487,354)	(1,805,436)
საერთო მოგება		661,700	976,460
სხვა საოპერაციო შემოსავალი		425	11,132
კომერციული ხარჯები		(17,174)	(7,282)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(659,594)	(436,303)
საოპერაციო მოგება		540,192	1,502,907
ფინანსური შემოსავალი		11,158	11,181
ფინანსური ხარჯი	8	(223,090)	(209,311)
საკურსო მოგება/(ზარალი)		6,911	(35,477)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(219,664)	310,400
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(219,664)	310,400
წლის სრული მოგება მისაკუთვნიებული:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(139,757)	178,281
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(79,907)	132,119
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(219,664)	310,400

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 3 სექტემბერს


ნინო აბრამიშვილი
 დირექტორი

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	9	2,418,503	2,234,610
საინვესტიციო ქონება	10	857,517	1,269,906
გუდვილი	11	139,277	159,174
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში		75,039	75,039
არამატერიალური აქტივები		1,213	1,940
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,491,549	3,740,669
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	11,096	3,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	44,143	92,926
გაცემული სესხები	14	410,269	138,311
ფული და ფულის ექვივალენტები	15	564,713	1,848,980
სულ მიმდინარე აქტივები		1,030,221	2,083,429
სულ აქტივები		4,521,770	5,824,098
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		75,039	75,039
გაუნაწილებელი მოგება		884,918	1,024,675
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		959,957	1,099,714
არამაკონტროლებელი წილი		466,911	546,818
სულ კაპიტალი		1,426,868	1,646,532
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	16	466,631	881,388
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		466,631	881,388
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	17	710,299	1,829,730
მოკლევადიანი სესხები	16	1,865,949	1,415,153
სხვა გადასახდელი გადასახადები	18	52,023	51,295
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,628,271	3,296,178
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,521,770	5,824,098

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2021	75,039	846,394	921,433	414,699	1,336,132
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	-	178,281	178,281	132,119	310,400
31 დეკემბერი 2022	75,039	1,024,675	1,099,714	546,818	1,646,532
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(139,757)	(139,757)	(79,907)	(219,664)
31 დეკემბერი 2023	75,039	884,918	959,957	466,911	1,426,868

შპს „ენ ეი გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ენ ეი გრუპი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2020 წლის 1 დეკემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405425525

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, არაყიშვილის ქ., № 16/4, ბ. #5.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს „შუხმან რიალ ისთეითი“	ვილების მშენებლობა/რეალიზაცია	60%	60%

ინვესტიციები: ჯგუფი ფლობს ინვესტიციებს შემდეგ საწარმოში.

მეკავშირე კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“	ღვინის წარმოება/რეალიზაცია	40%	40%

კომპანიის მეწილეები: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა ნინო აბრამიშვილი

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარცხის გამოკლებით. ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10
ოფისის ინვენტარი და ავეჯი	2-5
საინვესტიციო ქონება	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	3-6
სხვა ძირითადი საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბუღალტრული პროგრამა	10 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
ამონაგები სასტუმრო მომსახურებიდან	1,194,915	943,443
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	835,264	1,640,036
ამონაგები სარესტორნე მომსახურებიდან	19,815	99,738
ამონაგები სპის მომსახურებიდან	8,563	10,493
სხვა	90,497	88,186
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	2,149,054	2,781,896

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
თვითღირებულება სასტუმრო	(902,867)	(799,666)
რეალიზებული ვილების თვითღირებულება	(395,083)	(801,572)
თვითღირებულება რესტორანი	(87,529)	(128,322)
ცვეთის ხარჯი	(55,401)	(34,185)
თვითღირებულება სპა	(8,123)	(8,965)
თვითღირებულება სხვა	(38,351)	(32,726)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,487,354)	(1,805,436)

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(357,256)	(210,862)
ცვეთა და ამორტიზაცია	(113,164)	(83,766)
პროფესიული მომსახურება	(94,368)	(43,463)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(19,788)	(15,888)
საგადასახადო ხარჯი	(19,264)	(17,970)
სხვა ხარჯი	(55,754)	(64,354)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(659,594)	(436,303)

8. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	(179,538)	(163,638)
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	(28,393)	(30,514)
იურდიული პირებისგან აღებული სესხები	(15,159)	(15,159)
სულ ფინანსური ხარჯი	(223,090)	(209,311)

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის ინვენტარი და ავაჯი	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	1,804,642	316,192	39,130	142,478	61,979	12,580	2,377,001
შემოსვლა წლის განმავლობაში	1,502,134	32,225	7,633	59,135	10,491	-	1,611,618
გასვლა	(1,517,777)	-	-	(5,360)	-	-	(1,523,137)
31 დეკემბერი 2022	1,788,999	348,417	46,763	196,253	72,470	12,580	2,465,482
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	41,165	115,411	21,380	15,180	90,817	283,953
გასვლა	(7,521)	-	-	-	-	-	(7,521)
31 დეკემბერი 2023	1,781,478	389,582	162,174	217,633	87,650	103,397	2,741,914
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	(65,617)	(5,479)	(96,411)	-	(224)	(167,731)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(31,336)	(7,378)	(23,169)	-	(1,258)	(63,141)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(96,953)	(12,857)	(119,580)	-	(1,482)	(230,872)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(34,274)	(17,639)	(34,682)	-	(5,944)	(92,539)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(131,227)	(30,496)	(154,262)	-	(7,426)	(323,411)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	1,788,999	251,464	33,906	76,673	72,470	11,098	2,234,610
31 დეკემბერი 2023	1,781,478	258,355	131,678	63,371	87,650	95,971	2,418,503

აქტივები 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შემოვიდა ბიზნეს კომბინაციის შედეგად.

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	საინვესტიციო ქონება	სულ
31 დეკემბერი 2021	-	301,537	301,537
შემოსვლა წლის განმავლობაში	295,182	756,255	1,051,437
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	295,182	1,057,792	1,352,974
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა	-	(378,470)	(378,470)
31 დეკემბერი 2023	295,182	679,322	974,504
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	-	(48,883)	(48,883)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(34,185)	(34,185)
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(83,068)	(83,068)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(55,401)	(55,401)
გასვლები	-	21,482	21,482
31 დეკემბერი 2023	-	(116,987)	(116,987)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	295,182	974,724	1,269,906
31 დეკემბერი 2023	295,182	562,335	857,517

11. გუდვილი

ჯგუფმა გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრა 10 წელი. პერიოდის ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 19,897 ლარი.

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სამშენებლო მარაგები	648	647
სხვა მარაგები	10,448	2,565
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	11,096	3,212

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	35,243	39,436
გაცემული ავანსები	8,900	53,490
სულ	44,143	92,926

14. გაცემული სესხები

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	11%	მოთხოვნამდე	399,080	127,466
დაკავშირებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხი	5%	მოთხოვნამდე	11,189	10,845
სულ გაცემული სესხები			410,269	138,311

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	534,013	1,818,092
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	30,700	30,177
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	711
სულ ფული და ფულის ეკვივალენტების	564,713	1,848,980

16. მიღებული სესხები

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	13%	გრძელვადიანი (2025)	466,631	881,388
სულ გრძელვადიანი სესხი			466,631	881,388

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	13%	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	904,993	521,087
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	5%	მოთხოვნამდე	753,712	701,980
დაკავშირებული იურიდიული პირებიდან აღებული სესხი	11%	მოთხოვნამდე	207,244	192,086
სულ მოკლევადიანი სესხი			1,865,949	1,415,153

შპს “ენ ეი გრუპი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. საფაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	291,269	555,561
სახელფასო ვალდებულება	221,659	154,069
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები მიღებული ავანსები	163,719	286,569
სხვა ვალდებულებები	31,527	830,450
სულ საფაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,125	3,081
სულ საფაჭრო და სხვა ვალდებულებები	710,299	1,829,730

18. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.